ცნობის ფურცელი

№ 2394 პარასკევი, 30 იანვარი 1896—1904 ყოველ-დღიური გამოცემა № 2394

გაზეთი ღირს: წელიწადში—6 მ., თვეში უდამატებოთ—50 კ. დამატებით—75 კ.; ნომერი—3 კ., დამატებით—5 კ ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი „პეტიტით“ პირველ გვერდზე—10 კ., მეოთხეზე—5 კ. ხელის-მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება: „მოამბე“-„ცნობის ფურც.“ რედაქციის კონტორაში ვანქის დიდ ქუჩაზე, № 27 და წ. გამ. ქართველთა ამხანაგობის კიოსკში (ქვაშვეთის ეკლესიის პირდაპირ).

ხელ-მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება.—დასაბეჭდი წერილები რედაქციის სახელობაზე უნდა გამოიგზავნოს.—პირდაპირ მოლაპარაკება რედაქციასთან შეიძლება ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა შუადღის 11—1-ლ საათამდე.

ფოსტის ადრესი: Тифлисъ, въ редакцію „Цнобисъ-Пурцели“-„Моамбе“. ტელეფონი № 372.

გაზეთის ნომერი ღირს 3 კაპ. სურათებიანის დამატებით 5 კაპ.

წარმ. 44.

ქართული თეატრი

აბონემენ № 14

შაბათს, 31 იანვარს, 1904 წ.

ქართულ დრამატიულ საზოგადოების დასის მიერ წარმოდგენილი იქნება

ხალხის მტერი ანუ ექიმი შტოკმანი

დრამა 5 მოქ. იბსენისა თარ. პოლუმორდვინოვისა

მონაწილეობას იღებენ: ქ-ნნი ტასო აბაშიძე, ნ. დავითაშვილი, ა. კარგარეთელი, ელ. ჩერქეზიშვილი. ბ-ნნი: დ. ბაქრაძე, გ. გედევანოვი, ნ. გვარაძე, ა. იმედაშვილი, ი. ივანიძე, კ. მესხი, ვ. მატარაძე, ს. სვიმონიძე, საფაროვი, კ. ყიფიანი, კ. შათირიშვილი, შალიკაშვილი.

ადგილების ფასი ჩვეულებრივია. დასაწყისი საღამოს 8 საათზე.

მზადდება წარმოსადგენად: ქ. გაბუნია-ცაგარლის საბენეფისოდ „ინჟილერი სიძე“ „დარისპანის გასაჭირი“.

რეჟისორი **აკაკი**.

ტფილისის სახაზინო თეატრი. რუსული ოპერა.

ანტრეპრიზა მისის უდიდებულესობის სოლისტის ნ. ნ. ფიგნერისა.

პარასკევი, 30 იანვარს, 1904 წ., წარმოდგენილი იქნება

ტრავიატა

ოპერა 3 მოქ. მუს. ვერდისა.

ბალეტი

მონაწილეობას იღებენ: ქ-ნნი: კარტავინა, ლელინა; ბ-ნნი: ფიგნერი, ევლახოვი ილიუშჩენკო, ფედოროვი, გავრილოვი.

დასაწყისი საღამოს 8 საათზე. კაპელმეისტერი ე. ესპოზიტო.

ანონსი: 31 იან. რადინას ბენ. „ჟიზნ ზა ცარია“. 1 თებ. წარმ. არ იქნება. 2 თებ. ენკვისტის ბენ. „პიკოვაია დამა“. 3 თებ. „მშვენიერი ელენე“ (2 აქტი), ბოშების სიმღერები და ნეაპოლიტანური სიმღერები წარ. „მასკარადის“ შემდეგ.

ტფილისის

კერძო სამკურნალო

მკურნალის დ. ა. გედევანიშვილისა.

ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე

დილით:

დ. ა. გედევანიშვილი.—შინაგანი, ნერვებისა და წამლობა ელექტრონით 12—1 ს.

ლ. ივ. ქამოევი.—საშარდეს, ქირურგია, ვენერ. სიფილ. და კანისა 10 ს.—11-მდე.

ნ. ტ. მულინი.—ყურისა, ყელისა და ცხვირის. 10—11 საათამდე.

ა. გ. მაღალაშვილი.—ბავშვებისა და შინაგ. 10—11 საათ.

ვ. დ. ლამბაშიძე.—შინაგ. და ბავშვ. ორშაბ., ოთხშაბ. და პარასკ. 11—12.

ბრ. ვ. სობოლევსკი.—ხირურგია და ორტოპედია: ორშაბათობით, ოთხშაბათ. და პარასკევ. 1—3 საათამდე.

ვ. გ. მანსვეტოვი.—შინაგანი, ნერვებისა და ბავშვების, კვირაობით 10—12.

ექ. ქალი მ. ქ. იოსელიანი.—ქალისა და საბებიო, სამშ., ხუთშ. და შაბათ. 12—1 ს.

ლ. მ. მონინი.—ქალისა, საბებიო და ბავშ. (შემოწმება ძიძებისა) ოთხშაბათ., პარასკ. და კვირაობით 11—12 საათამდე.

ვ. ჭიჭინაძე—კბილისა, 8—9 საათამდე.

ნ. ტყეშელაშვილი.—კბილისა, 9—11 საათამდე.

საღამოთი:

ვ. ვ. სობოლევსკი—ხირურგია და ორტოპედია. სამშაბათ. და შაბათ. 5—6 ს.

ა. გ. მაღალაშვილი.— შინაგ., ბავშ., ყვავილის აცრა და მიკროქიმიური გამოკვლევანი 5—6 ს.

სამკურნალოს აქვს ოცი მუდმივი საწოლი.

ფასი რჩევისა და დარიგებისა 50 კაპ., ოპერაციები მორიგებით. კრავატები სამი მანეთიდან ხუთამდე.

ადრესი: კუკია, ველიკოკნიაჟესკის ქუჩა, (კუკიის ხიდიდან მეცხრე სახლი) სახლი აბრამოვისა, № 9. მიხეილის ქუჩიდან-კი 34 Б.

(წლ.) **ტელეფონი** № 274

ექიმი

ა. ნ. დიასამიძე

(კანისა და ვენერიული)

დილის 9—10 ს. საღამოს 7—9 საათამდე. კვირაობით მხოლოდ დილით. მიხეილის პროსპექტი № 123.

(თვ.—0—8)

ქუთაისში

ექიმი ს. ი. ბეგიშვილი

იღებს საბებიო, შინაგან და ვენერიული სნეულებით ავადმყოფებს დილის 9—12 საათამდე, და საღამოს 3—5 საათამდე. გენერალის ქუჩა, სახლი ბენიამინ ქურთოშვილისა.

ქუთაისში

კბილის ექიმი

მ. ი. ბეგიშვილისა

იღებს ავადმყოფებს დილის 9—12 ს. და 1—3 საათამდე. გენერალის ქუჩა, სახლი ბენიამინ ქურთოშვილისა.

ექიმი

ვ. დ. ლამბაშიძე

ორშაბათს, ოთხშაბათს და პარასკევს საღამოს 6—7 საათამდე, ნიკოლოოზის ქუჩა სახლი № 46.

ქუთაისში

ექიმი გ. დ. ნასარიძე

მიიღებს შინაგან და ნერვების მნეულებით ავადმყოფთ დილით 9—12-მდე საღამოთი 5—7 საათამდე. ტფილისის ქუჩა, სახლი ანტიპარმაკლიძისა.

(0—6.—40)

ექიმი

ვ. ს. მუსხელიშვილი

მიიღებს თვალით ავადმყოფებს დილით 1—3 საათ., საღ. 6—7. წყნეთის ქუჩა, № 21 სახლი ვაჩნაძისა.

კბილის ექიმი

ნ. ტყეშელაშვილი

ოლგას ქუჩა № 31. მიიღებს ავადმყოფებს ყოველ დღე დილის 9—1 საათამდე ნაშუადღევის 2—4-მდე. კვირაობით 10—6-მდე.

კბილის ექიმი

ი. პ. ახალშენიშვილი

(ელისაბედის ქუჩა, № 38).

მიიღებს ავადმყოფებს დილის 9—2 საათამდე. საღამოობით 5—7-მდე, ხოლო კვირა-უქმეობით 9—1-მდე და საღამოობით 5—7-მდე.

ცირკი ძმ. ნიკიტინებისა

ქალაქ ტფილისის სკოლების სასწავლებელთა ღარიბ მოსწავლეთა დამხმარებელ საზოგადოების სასარგებლოდ პარასკევს, 30 იანვარს, გაიმართება

მეტად ეფექტური

საგანგებო წარმოდგენა

მონაწილეობას იღებს მთელი დასი. დასაწყისი 8½ საათზე. (2—46—2)

რუსეთ-იაპონიის ომი

დეპეშები

28 იანვარი.

პეტერბურგი. 28 იანვარს უმაღლესი მანიფესტი გამოცხადდა. „პრავიტელსტვენი ვესტნიკ“-ი ძალიან ბლომად იყიდება. დილიდანვე ზარებს უკრავენ და ხალხს იწვევენ ეკკლესიაში ხელმწიფის დღეგრძელობისა და გამარჯვებისათვის სალოცავად. ყაზანისა და ისაკის სობოროებს აუარებელი ხალხი მიაწყდა.—27 იანვარს მოსკოვის ობერ-პოლიცმეისტერი, გენერალი ტრეპოვი, მოსკოვს წავიდა.

ტოკიო („რეიტ. სააგ“). ჰფიქრობენ, ომის დროს იმპერატორის მთავარ სადგომს კიოტოში გადაიტანენო.

კრონშტადი. 28 იანვარს საზღვაო სატეხნიკო სასწავლებლის 34 მოსწავლე უეგზამენოდ ინჟენერ მექანიკოსის უმცროს თანაშემწედ დანიშნეს. 30 იანვარს ესენი პორტ-არტურში მიდიან. ეკკლესიებში, საზღვაო მანეჟში და ქალაქის საბჭოში პარაკლისი გადაიხადეს რუსეთის გამარჯვებისათვის.

კიევი. მარიამის საზოგადოება საჩქაროდ ადგენს ექიმთა, მოწყალების დათა და სანიტართა რაზმს შორეულ-აღმოსავლეთში გასაგზავნად. საავადმყოფოს 200 კაცისათვის ამზადებენ.

ვორონეჟი. შორეულ-აღმოსავლეთიდან მოსულ ამბებს ყველა გაფაციცებით ადევნებს თვალ-ყურს. საქალაქო თეატრში საზოგადოების თხოვნით მუსიკამ სამჯერ დაუკრა „ბოჟე ცარია ხრანი“.

ნოვაია ბუხარა. ომის გამოცხადების გამო პოლიტიკურ სააგენტოს ეკკლესიაში გადაიხადეს პარაკლისი, რომელსაც ყველა აქ მცხოვრები რუსი დაესწრო.

წითელ ჯვრის საზოგადოებას შესწირეს 4000 მანეთი, რომელიც ლიუტშმა შეჰკრიბა ღარიბთა სასარგებლოდ გამართულ ბაზრობაზე.

ირკუტსკი. 28 იანვარს, დილის 9 საათზე საგანგებო მატარებლით მოვიდა გზათა მინისტრი თავ. ხილკოვი. მინისტრმა მიიღო გუბერნატორი და რკინის გზების უფროსნი. 3 საათის შემდეგ მინისტრი მანჯურიაში წავიდა.

ტაგანროგი. 28 იანვარს ტაგანროგის სამხედრო საკრებულოში სათადარიგო არტილერიის მეორე ბრიგადის აფიცრები შეიკრიბნენ, უმაღლესი მანიფესტი მოისმინეს, სამჯერ იმღერეს სახალხო ჰიმნი და განაცხადეს, ხელმწიფისა და სამშობლოსათვის მზადა ვართ თავი გავწიროთო. პატრიოტიზმი არაჩვეულებრივია.

რეველი. აუარებელ ხალხის თანადასწრებით მანიფესტი წაიკითხეს, რის შემდეგაც რუსეთის გამარჯვებისთვის პარაკლისი გადაიხადეს.

მოსკოვი. მოწყალების დათა ალექსანდრეს საზოგადოებამ გახსნა სახელოსნოები, სადაც დაჭრილთათვის საცვალს მოამზადებენ. იგივე საზოგადოება სასანიტარო რაზმს ადგენს; ამისთანავე რაზმს ივერიის საზოგადოება ადგენს.—ქალაქის საბჭო, ერთ მილიონ მან. შეწირულების გარდა, აარსებს მაშველ განყოფილებას იმ ღარიბ მოსკოველ ჯარისკაცთა ოჯახისთვის, რომელნიც ომში იმყოფებიან.

პორტ-არტური. 28 იანვარი. („რეიტ. საგ.“) ხვალ გენერალი კრასტალინსკი ლიაუნგიდან მდინარე იალუსკენ წავა. თან მიჰყავს მესამე არტილერიის ბრიგადა 24 ზარბაზნით და სამი ქვეითა პოლკი. მე-3, 4 და 5 ბრიგადებმა ხაიტშენგიდან 40 მილის მანძილზე დაიჭირეს თხრილები რკინის გზის გაყოლებაზე. მე-5 ბრიგადის სამი ბატარეია კინტშაუში იმყოფება. საერთოდ მანჯურიაში აღმოსავლეთ ციმბირის 36 პოლკია. ოთხი პოლკი 22 იანვრიდან ვლადივოსტოკისკენ მიდის.

ჩიფუ. 27 იანვარი. („რეიტ. საგ.“) პორტ-არტურში მომხდარ ბრძოლის შესახებ „რეიტერის სააგენტო“ იუწყება, იაპონიის ვიცე-ადმირალი უფროსობდა ფლოტს, რომელიც ოთხ ჯავშნიან გემისაგან შესდგებოდა: ფლოტი რეიდის გარედ დადგა. რუსებმა ზარბაზნებიდან სროლა დაუწყეს. მერე იაპონიის გემები თავიანთ უმთავრესს ფლოტს შეუერთდნენ. ამის შემდეგ იაპონიის მთელმა ფლოტმა რუსეთის ჯავშნიან გემებზე იერიში მიიტანა. იაპონიის უმთავრესი ფლოტი შესდგებოდა ორ დივიზიისაგან; პირველში იმყოფებოდა ფლაგმანის გემი „მიკადო“, 4 სალინიო გემი და კიდევ ორი გემი. მეორე დივიზიაში ადმირალ კამიმურას უფროსობით იმყოფებოდა ოთხი ჯავშნიანი გემი.

პარიზი. „ტან“-ი ამბობს: „მთელმა ქვეყანამ იცის, რომ საფრანგეთს ერთგულად ჰსურს თავის მოკავშირეს გამარჯვება. არსებულ ხელ-შეკრულობათა ძალით საფრანგეთი მოვალე არ არის ეხლანდელ ომში მონაწილეობა მიიღოს. მაგრამ საფრანგეთი მაინც რუსეთის მოკავშირეა და იმ დრომდე, სანამ რუსეთი იაპონიას ებრძვის, ჩვენი ჩუმი უმოქმედობა ხელს შეუშლის ყველას, ვინც კი ამა თუ იმ ადგილას, ჩვენის მოკავშირის საზიანოდ, მოიწადინებს ისარგებლოს ომით. ჩვენ გზას შევუკრავთ ყველას, ვინც არსებულ ვანხეთქილების ჩარჩოს გადიდებას მოისურვებს. როცა ომი გათავდება, რომლის შედეგიც იაპონიის ოცნების მიუხედავად, ეხლავე ცხადია, საფრანგეთი მოწინააღმდეგეთ იმედებს გაუქარწყლებს და თავის მიერ მიცემულ სიტყვის ერთგულების ნაყოფს მოიმკის.“

რომი. მოლაპარაკებაა, შორეულ-აღმოსავლეთში ომის დროს დასასწრებლად გაჰგზავნონ ერთი უმთავრესი აფიცერი.

ვაშინგტონი („რეიტერ. საგ.“) კაბინეტმა მტკიცე ნეიტრალიტეტის დაცვა გადასწყვიტა. გეის ნოტის შესახებ უკვე გაიმართა წერილების გზავნა. სახელმწიფოთა პასუხები ისეთია, როგორსაც მოელოდნენ.

ტიან-ძინი. 28 იანვარი. („რეიტ. საგ.“) შანჰაი-გუანში ყოველ საათს ელიან საფრანგეთის გემს, რომელსაც ტონკინიდან ერთი ბატალიონი საფრანგეთის ჯარი მოჰყავს. ამ ჯარმა რუსების დატოვებული ფორტები უნდა დაიჭიროს. ამბობენ, დღეს ფორტებზე, რომელთაც მხოლოდ დარაჯები იცავენ, სამფეროვანი ბაირაღებიააფრიალესო. შანჰაი-გუანში მყოფმა ინგლისის აფიცერმა საფრანგეთის ოკუპაციის წინააღმდეგ პროტესტი გამოაცხადაო. ჩრდილოეთ ჩინეთში ინგლისის ჯარის უფროსი, გენერალი ვენტრისი დღეს დილას შანჰაი-გუანში წავიდა.

ლონდონი („რეიტ. საგ.“). 26 იანვარს ჩემულპოში გადმოვიდა რამდენიმე ათასი იაპონიის ჯარის კაცი, თუმცა ამ დროს იქ რუსეთის ორი სამხედრო გემი იდგა.

შანჰაი. 27 იანვარი. („რეიტ. საგ.“). ხმა დადის, რუსეთის საფოსტო გემი „მონგოლია“, რომელიც კვირას აქედან წავიდა, იაპონელებმა შანჰაი-გუანის ნაპირებთან დაიჭირესო.

პეტერბურგი. გამოცხადებულია შემდეგი უმაღლესი ბრძანება უმართებელეს სენატის მიმართ: „თუ საჭიროება მოითხოვს, სანამესტნიკოს ჯარის და აგრეთვე ციმბირის ფლოტისა, საომრად მოსამზადებლად, ჩვენ საჭიროდ ვცანით ჩვენს ნამესტნიკს შორეულ-აღმოსავლეთში ნება მივცეთ: 1) სანამესტნიკოში ნამდვილ სამსახურში მიიწვიოს იქ მცხოვრებნი ხმელეთის ჯარის და ფლოტის სათადარიგო აფიცრები და ჯარის კაცები ამ მხარეში არსებულ სამობილიზაციო წესით და 2) განკარგულება მოახდინოს, სანამესტნიკოს ჯარისთვის ადგილობრივ მცხოვრებთაგან ცხენები შეიძინონ. ამის შესახებ დაწვრილებითი ბრძანება ჩვენ სამხედრო მინისტრს და საზღვაო სამინისტროს უფროსს ვაცნობეთ. უმართებელესი სენატი ამის გამო შესაფერ განკარგულებას მოახდენს“. ნამდვილზე მისის იმპერატორებითის უდიდებულესობის საკუთარის ხელით წარწერილია: **„ნიკოლოზ“**.

დეპეშა ნამესტნიკისაგან სამხედრო მინისტრს 26 იანვარს. „უმაღლესის ბრძანების თანახმად, პორტ-არტურსა და ვლადივოსტოკის ციხეში და იმ ადგილებში, რომელნიც ჩინეთ-აღმოსავლეთის რკინის გზას უჭირავს, 28 იანვრიდან სამხედრო წესი დაწესდა. განკარგულება მოვახდინე, რათა ოთხი პოლკისა და იმიერ-ბაიკალის ჯარის ორ ბატალიონის საცდელი მობილიზაცია მოახდინონ. გენერალ-ადიუტანტი ალექსეევი“.—პორტ-არტურიდან გენერალ-ადიუტანტ ალექსეევისაგან მოსულ დეპეშის პირი: „27 იანვარს. 24 იანვარის უმაღლეს ბრძანების თანახმად, რომელიც 25 იანვარს შტაბის უფროსმა შემატყობინა, გამოვაცხადე სანამესტნიკოსა და აგრეთვე კვანტუნის, პრიმორის ოლქისა და სახალინის ჯარების მობილიზაცია. მობილიზაცია დაიწყება 28 იანვარს. გენერალ-ადიუტანტი ალექსეევი“.

რეველი. მიღებულია ბრძანება რეველის ქარხნიდან დაუყოვნებლივ გაიგზავნოს ხარბინში ყველა ლოკომოტივები და ვაგონები, ჩინეთის რკინის გზისათვის დამზადებული.

პეტერბურგი. ხელმწიფე იმპერატორი და ხელმწიფე დედოფალი ალექსანდრა თეოდორეს ასული ბრძანდებოდნენ კადეტთა კორპუსში, სადაც იმათ მიეგებნენ დიდი მთავარი ალექსი ალექსანდრეს ძე, ზღვათა სამინის-

ტროს გამგე, კორპუსის დირექტორი და სხვა მოხელენი. მათი უდიდებულესობანი შებრძანდნენ დიდ სასადილო ოთახში, სადაც გამწკრივებულნი იყვნენ გარდემარინები და კადეტები. ხელმწიფე იმპერატორი, რომელსაც საზღვაო ფორმა ეცვა, კადეტებს მიესალმა. ხელმწიფემ შემდეგის სიტყვებით მიჰმართა გარდემარინებს: „თქვენ იცით, ბატონებო, რომ გუშინწინ ჩვენ ომი გამოგვიცხადეს. თავხედმა მტერმა გაჰბედა და ბნელ ღამეში თავს დაესხა ჩვენს მღიერებას—ჩვენს ფლოტს, თუმცა ჩვენ არაფრით გამოგვიწვევია ასეთი თავდასხმა. ამ ჟამად ჩვენს სამშობლოს ეჭირვება თავისი სამხედრო ძალები, როგორც ფლოტისა, ისე მხედრობისა, და მე თვით მოვედი აქ თქვენთან, განგებ, რათა მენახეთ და მეთქვა, რომ მაბოძებია თქვენთვის მიჩმანობა, რათა შეავსოთ ჩვენი ფლოტი. გაბოძებთ-რა ეხლავ მიჩმანობას უეკზამენოდ და ვადამდე $3\frac{1}{2}$ თვით ადრე, დარწმუნებული ვარ, ბეჯითად ეცდებით შეავსოთ თქვენი ცოდნა, და ისე იმსახურებთ, როგორც იმსახურეს თქვენმა წინაპრებმა, პაპებმა და მამებმა,— ადმირალებმა ჩიჩაგოვმა, ლაზარევმა, ნახიმოვმა, კორნილოვმა და ისტომინმა ჩვენის ძვირფასის მამულის სასარგებლოდ და სადიდებლად. დარწმუნებული ვარ, მთელს ძალ-ღონეს შესწირავთ ჩვენს ფლოტს, შემოსილს დროშითა და ანდრიას ჯვრით. ურა“. მეფის სიტყვის პასუხად გაისმა ძლიერი „ურა“ და საერო ჰიმნი. შემდეგ მათი უდიდებულესობანი შებრძანდნენ კორპუსის საავადმყოფოში, სადაც მოწყალედ ესაუბრნენ ავადმყოფ კადეტებს. შემდეგ მათი უდიდებულესობანი კორპუსიდან წაბრძანდნენ; კადეტებმა დიდის ამბით მიაცილეს მათი უდიდებულესობანი საზამთრო სასახლემდე.

ვოლოგდა. ვოლოგდის საქალაქო საბჭოს ხმოსნებმა გადასწყვიტეს უქვეშევრდომილესად გამოუცხადონ მის უდიდებულესობას ერთგულება და თავისი სურვილი, რომ ვოლოგდის მცხოვრებნი მზად არიან ყოველგვარი მსხვერპლი შესწირონ ტახტსა და სამშობლოს.

პარიზი. გაზეთები ჰბეჭდენ შემდეგ დეპეშას პორტ-არტურიდან: „27 იანვარს იაპონიის ფლოტმა, რომელიც 15 ჯავშნიან გემისაგან შესდგებოდა, დილიდანვე ზარბაზნები დაუშინა პორტ-არტურს. სიმაგრეებიდან პასუხი გასცეს. რუსეთის მთელი ფლოტი გამოვიდა. ასტყდა ბრძოლა. იაპონელთ აღსრულებაში მოჰყავთ თავისი განზრახვა უეცრივ იერიშის მიტანის შესახებ ომის გამოცხადებამდე, რაც საერთაშორისო უფლებას ეწინააღმდეგება. ყურადღება უნდა მიექცეს იმას, რომ გაიაშიმ სამი დღის წინად იწინასწარმეტყველა საზღვაო ბრძოლა; ეს კიდეც მოხდა ომის გამოუცხადებლად“.

მოსკოვი. დღეს, მიძინების საკრებულო ტაძარში, უმაღლეს მოხელეთა თანდასწრებით სადღესასწაულო პარაკლისი გადაიხადეს. კრემლი ავსილი იყო ხალხით. ქალაქის საბჭოში მანიფესტი წაიკითხეს. ვაჭართა საზოგადოებამ დაადგინა, შეაგროვოს ერთ მილიონ მანეთამდე, რომელიც წინად შეგროვილ 800 ათას მანეთთან ერთად უნდა მოხმარდეს მეომართა ოჯახებს და დაჭრილ ჯარისკაცთ. მონადირეთა კლუბმა 5000 მან. გადასდო საავადმყოფოსათვის; უცნობისაგან შემოვიდა 25 ათასი მან.

ბლაგოვეშჩენსკი. უმაღლესი ბრძანება ჯარების მობილიზაციის შესახებ ბლაგოვეშჩენსკში 27 იანვარს მიიღეს. საღამოს 8 საათამდის მოხდენილ იქმნა ყველა განკარგულება ჯარების მობილიზაციისა და გამოწვევის შესახებ. სურსათ-სანოვაგის ფასებმა ძლიერ აიწიეს. ქალაქში მცხოვრებ იაპონელთა უმეტესი ნაწილი (163 კაცი) ქალაქშივე რჩება. სამხედრო გუბერნატორმა ბრძანება გასცა, რომლითაც ყველას იწვევს, წესიერების დაცვას ხელი შეუწყონ, აფრთხილებს—უცხოელების (იაპონელების, კორეიელების და ჩინელების) წინააღმდეგ ძალმომრეობა არ მოხდესო. ქალაქში მშვიდობიანობა ჰსუფევს.

29 იანვარი

პეტერბურგი. საბჭომ 8 საათზე პარაკლისი გადაიხადა და შემდეგ ერთხმად დაადგინა ომში დაზარალებულთათვის გადასდოს $1\frac{1}{2}$ მილიონი მანეთი.

ირკუტსკი. გაყინულ ბაიკალის ტბაზე რელსების დალაგება იჯარით გასცეს იმ პირობით, რომ მუშაობა 15 თებერვლამდის დასრულდეს; თუ ვადამდე გაათავეს, თითო დღეში 3000 მანეთი პრემიად მიეცემათ. რელსების დალაგება 2 იანვარს დაიწყეს. შიში აქვთ, რომ შპალები არ ეყოფათ. ციმბირის რკინის გზით უკვე გადაზიდეს 25 ვერსზე მეტის სამყოფი რელსი. აღმოსავლეთიდან ყოველ დღე დიდძალი ჩაი მოაქვთ; ამშენებელთა საჭიროებისათვის ტელეგრაფი გაიმართა. ბაიკალის შემოსავლელი რკინის გზის გაკეთება, ტანჰოიხისა და კულტუკის შუა 110 ვერსის მანძილზე უნდა გათავდეს 10 აპრილამდე. ტანხოიში ამაგრებენ ნავთსადგურს.

კიევი. უმაღლესის მანიფესტის მიღების შემდეგ ქუჩებში დიდძალმა ხალხმა პატრიოტული მანიფესტაციები მოახდინა, რამაც შუაღამემდე გასტანა. მღეროდნენ საერო ჰიმნს, „კოლ სლავენს“, და ჰყვიროდნენ „ურა“-ს. საბჭოს წინ, ხალხის სურვილით, აივანზე გამოჰკიდეს ხელმწიფე იმპერატორის სურათი, რომელსაც დამსწრენი აღტაცებით მიეგებნენ. აფიცრებს ხელში იყვანენ და ისე დაჰყავთ; ხალხს საერო დროშები დააქვს. მხურვალე მანიფესტაცია მოახდინეს საფრანგეთის საკონსულოს წინ, სადაც დაუკრეს რუსეთისა და საფრანგეთის საერო ჰიმნები. სრული წესიერება ჰსუფევს.

მოსკოვი. წითელი ჯვრის საზოგადოების აქაურმა განყოფილებამ დაადგინა გაჰმართოს სამხედრო საავადმყოფო 4000 კაცისათვის და შეწირულებანი მოაგროვოს.

კურგანი. 29 იანვარს ჯარების მობილიზაცია გამოცხადდა.

პეტერბურგი. უმაღლეს ბრძანებით 28 იანვარს გამოცხადებულია, რომ 24 იანვარს გამოცემულ უმაღლეს ბრძანების თანახმად ციმბირის მე-3 სამხედრო კორპუსი შეადგინონ. ამ კორპუსის მმართველობა იმნაირადვე უნდა მოეწყოს, როგორც მოწყობილია ციმბირის I და მე-2 კორპუსები. ეს ბრძანება გამოეცხადა სამხედრო უწყებაში ყველას, ვისაც ჯერ არს, სახელმძღვანელოდ და ასასრულებლად. „27 იანვარი. უმაღლესად ნაბრძანებია: 1) ზაიბაკაილის ყაზახთა მე-2 ვერხნეუდინსკისა, მე-2 ჩიტისა, მე-2 ნერჩინსკისა და მე-2 არგუნის პოლკებისაგან, რომლებიც ეხლა საომრად ემზადებიან, დივიზიები უნდა შეადგინონ და სახელად ზაბაიკალის ყაზახთა დივიზია უწოდონ. მე-2 ვერხნეუდინსკისა და მე-2 ჩიტის ბოლკებმა პირველი ბრიგადა უნდა შეადგინონ, მე-2 ნერჩინსკისა და მე-2 არგუნის პოლკებმა-კი მე-2 ბრიგადა უნდა შეადგინონ; 2) დივიზიის მმართველობის შტაბი სამხედრო დროის აწ არსებულ შტატების თანახმად შესდგეს. ის ადგილები, სადაც დივიზიებისა და ბრიგადების შტაბი და მმართველობა უნდა შეიკრიბნენ და დაიშალნენ, საბაიკალის ყაზახთა მხედრობის ნაკაზნოი ატამანმა უნდა დანიშნოს. ზემო ხსენებულს ვუცხადებ სამხედრო უწყებაში, ვისთვისაც ჯერ არს საცოდნელად და ასასრულებლად.“ ხელს აწერს სამხედრო მინისტრი გენერალ-ადიუტანტი **კუროპატკინი.**

თანახმად პეტერბურგის მთავრობისა და საფრანგეთის რესპუბლიკის შორის უმაღლესის სურვილით მომხდარ შეთანხმებისა, იაპონიაში საიმპერატორო მისსიებისა, საკონსულოების და რუსეთის ქვეშევრდომთა ინტერესების დაცვა ომიანობის დროს საფრანგეთის დიპლომატებს და კონსულებს მიენდო. რუსეთში იაპონიის მისსიებისა, საკონსულოებისა და ქვეშევრდომთა დაცვა იაპონიის მთავრობამ ჩრდილოეთ ამერიკის შეერთებულ შტატების ელჩს მიანდო.—28 იანვარს იაპონიის საელჩო პეტერბურგიდან წავიდა.

პორტ-საიდი. რუსეთის ორი ნაღმიანი გემი და სატრანსპორტო გემები „სმოლენსკი“ და „როსია“ მოვიდნენ აქ

ვაშინგტონი. რუზველტმა გადასწყვიტა, ომიანობის დროს შორეულ-აღმოსავლეთში ამერიკამ ნეიტრალიტეტი დაიცვას. ამის შესახებ პროკლამაცია 28 იანვარს იქნება გამოცხადებული.

ჟურნალ-გაზეთებიდან

იაპონიის ფლოტის უფროსი. იაპონიის ფლოტის უფროსად რამდენიმე თვის წინად მთავრობამ ადმირალი ტოგო დაჰნიშნა. ტოგო მეტად გაბედული, მოხერხებული კაცია, განათლება ინგლისში გრინვიჩის სამხედრო საზღვაო სკოლაში აქვს მიღებული. ტოგომ 1894 წელს ჩინეთ-იაპონიის ომის დროსვე ისახელა თავი. მაშინ კრეისერ „ნანივა“-ს უფროსად იყო და ჩინეთის გემი „კაუსინგი“ დაჰლუპა. ინგლისური პრესა მეტად აქებს იაპონიის ფლოტის მთავარ-სარდალს, „იაპონელ ნელსონის“ სახელს უწოდებს. იაპონელებსაც მეტად მოსწონთ და უყვართ თავიანთი გაბედული, ფოლადიანი ადმირალი. ტოგოს თანაშემწედ დანიშნულია გრაფ იტო. ესეც მონაწილეობას იღებდა ჩინეთ-იაპონიის ომში.

ინგლისის ესკადრის უფროსი. გაზეთ „ნოვოსტი“-ს დეპეშით ატყობინებენ ლონდონიდან; „23 იანვარი. შორეულ-აღმოსავლეთში მყოფ ინგლისელ ესკადრის უფროსად ვიცე-ადმირალი ნოელი დანიშნესო“. ნოელი მეტად ნიჭიერ და გაბედულ კაცად ითვლება.

პეტერბურგში იაპონიის ელჩად ნამყოფი კურინო. „პეტერბურგსკაია გაზეთა“-ს თანამშრომელს, ჯერ კიდევ დიპლომატიურ შეწყვეტის წინ, პეტერბურგში იაპონიის ელჩი კურინო უნახავს. თანამშრომელი სწერს: „ამ ჟამად იაპონიის საგანგებო ელჩად ბ-ნი კურინოა, მდივნებად ბ. ბ. აკიზუკი, კურსიკაბე და მარუმო ჰყავს; საელჩოს ატაშეებად ბ. ბ. ოდა და ტოკიხასი არიან, სამხედრო ატაშეებად კიდევ პოლკოვნიკები იონო, აკასი და კინო. საზღვაო აგენტად 1 ხარისხის კაპიტანი საკაია.

პირველად პეტერბურგში ბარონი გაიაში იყო ელჩად; მერე გაიაში ლონდონში გადაიყვანეს და იმის ადგილას რუსეთში იაპონიის ეხლანდელი გარეშე საქმეთა მინისტრი, გამოჩენილი სახელმწიფო მოღვაწე ბ-ნი კომურა დანიშნეს. კომურამ რომ მინისტრობა მიიღო, პეტერბურგში ელჩად ბ-ნი ჩინტა მოვიდა. მერე ჩინტა გარეშე საქმეთა მინისტრის, ესე იგი კომურას, თანაშემწედ დანიშნეს და იმის ნაცვლად ამ ორის წლის წინ ბ-ნი კურინო გამოჰგზავნეს საგანგებო ელჩადა და რწმუნებულ მინისტრად. ასე რომ იაპონიის გამოჩენილი დიპლომატები თითქმის ყველანი ყოფილან პეტერბურგში ელჩებად და რუსეთის ავი და კარგი მშვენივრად აქვთ შესწავლილი.

ბ-ნი კურინო ასე 50 წლისა იქმნება; მეტად კარგი შეხედულება აქვს. ყველა ევროპიული ენა იცის, გარდა გერმანულისა და რუსულისა. საზოგადოთ, შევატყე, რომ იაპონელებს გერმანული ენა საშინლად სძულთ. კურინოს ცოლიც პეტერბურგში ჰყავს. ელ-

ფელეტონი

იაპონია*)

I

მართვა-გამგეობა.

ამომავალი მზის ქვეყნისა ანუ იაპონიის უმაღლესი მმართველი დღეს მიკადო მუტუსუ ხიტოა, რომელიც 1867 წელს 13 თებერვალს ავიდა ტახტზე. 1868 წლის რევოლიუციამდე, რომელმაც სულ სხვა რიგად შესცვალა პოლიტიკური ორგანიზაცია იაპონიისა, ხიტო სრულიად განმარტოვებულადა სცხოვრობდა კიოტოს სასახლეში და სახელმწიფოს მართვა-გამგეობა მთლად მისის მოადგილის სიოგუნის („საერო იმპერატორის“) ხელში იყო; მიკადოს-კი, ევროპიელების აზრით, მხოლოდ სასულიერო უფლება ჰქონდა მინიჭებული. თავდა-პირველი ხელშეკრულებანი, რომლებმაც ევროპიელებს იმ დრომდის უცნობ იაპონიის ნავთსადგურების კარი გაუღეს, იაპონიის უკანასკნელ სიოგუნის (მოადგილის) კეიკის გამგებლობის დროს ეკუთვნიან. მაგრამ 1868 წ. „საერო იმპერატორის“ (უზურპატორის) უფლება გაუქმებული იქმნა და მართვა-გამგეობა სახელმწიფოსი კანონიერ ხელმწიფის ხელში გადავიდა. გადაყენებული მოადგილე ტახტისა მას შემდეგ აგერ 30 წელიწადია ქ. შიდზოუკაში სცხოვრობს, როგორც უბრალო მემამულე და ნადირობა-თევზაობით შეიქცევს თავსა, ქვეყნის საქმეებში აღარ ერევა.

დღევანდელი იმპერატორი მუტუსუ ხიტო 16 წლისა ავიდა ტახტზე, მაგრამ ახალგაზრდა გვირგვინოსანმა მტკიცედ დაიცვა ზეცისა და განგების ნება და სულ მოკლე ხნის განმავლობაში ქვეყანა განათლების გზაზე დააყენა, ევროპის მოწინავე სახელმწიფოთ გვერდში ამოუყენა.

ჯერ სრულიად ახალგაზრდამ, მეფობის პირველსავე ხანს შეიძინა მუტუსუ ხიტომ დიდი გამოცდილება სამეფო მართვა-გამგეობისა, რადგან ტახტზე ასვლისათანავე აჯანყება მოახდინეს, ტახტს ეცილებოდნენ. აჯანყების დროს დაჰკარგა ყველაზე მეტად სანდობი მინისტრები, რომლებიდანაც ერთი მოუკლეს, მეორე უდროვოდ მოუკვდა და ორი აჯანყებულებს მიუდგა. გარდა ამისა, მეტოქე დასებისაგან თვითონ სახელმწიფოც მთლად აწეწილ-დაწეწილი იყო. მაგრამ სძლია ყოველივე დაბრკოლება და თავისს ქვეშევრდომთათვის მუდამ მზრუნველი, მტკიცე ხასიათისა და ნების მქონე ახალგაზრდა გვირგვინოსანი ბრძოლიდან გამარჯვებული გამოვიდა. თავისის ჭკუითა დ გამოცდილებით, რომელიც ამ გასაჭირში გამოიჩინა, სამშობლოში თუ მის გარეთ ყველგან დიდი პატივისცემა და სახელი მოიპოვა. და დღესაც, თუ მინისტრთა საბჭოში ერთგული თანაშემწეები ჰყავს, ყველა მისს კეთილს განზრახვას თანაუგრძნობენ, ეს სულ იმის ხალხის ცნობისა და შერჩევის უნარს მიეწერება.

გარეგნობით იმპერატორი მეტად მიმზიდველი შეხედულობისაა. ტანათ საკმაოდ მაღალი (5 ფუტი და 8 დიუმია), შავგვრემანია, მშვიდობიანი, მაღალი შუბლი აქვს, სიარული დარბაისლური, გამომეტყველება, მომქმედი, ენერგიული, თვალები კეთილი, მოალერსე, ზოგჯერ დიდების გამომეტყველი.

1869 წ., 17 წლის მუტუსუ ხიტომ სასახლის დიდებულის ასული კოგო-სამა შეირთო ცოლად. დედოფალიც ტანათ მაღალი (5 ფ. 4 დიუმი), მოხდენილია, სახე რგვალი, იაპონური არისტოკრატიისა აქვს. იმპერატორი ხშირად სახელმწიფო საქმეების შესახებ ეკითხება რჩევას და დედოფალიც დიდს ბუნებითს გონიერებასა და ნიჭს იჩენს; თავისს თანამემამულეების ყოფა-ცხოვრებას დიდს ყურადღებას აქცევს და ცნობილია, როგორც ქველმომქმედი და მოწყალე. ჩინეთ-იაპონიის ომის საქმეს დიდის ყურადღებით ეპყრობოდა და ჭრილობათათვის შესახვევს მასალას თავისის მეთვალყურეობის ქვეშ ამზადებინებდა, სხვებთან ერთად თვითონაც მხნედ მუშაობდა.

იმპერატორის ჩამომავლობას იაპონელები მზის ღმერთა ამატერეზადგან იწყებენ და ტიტულად ზეცის ძეს „**ტენში**ს“ უწოდებენ. მთელი ხალხი ამ სახელს უწოდებს. ევროპიელები-კი მომეტებულად **მიკადოს** ხმარობენ, რაიცა სიტყვა-სიტყვით თარგმნით „**უდიდესს თანამდებობასა**“ ჰნიშნავს. აქვს აგრეთვე სხვა ტიტულიც: **ტენნო**— ჰნიშნავს ზეცის მეფეს, **კოტეი**—უდიდესს მმართველს, **პო-შო**—იმპერატორის უფლებას, **კინრასიმა**—სასახლის ბატონს. ზეცის ძეს რომ ხალხი პატივით ეპყრობა, ისეთს პატივს ვერავინ სხვა ვერ ეღირსება.

იმპერატორის უფლების ემბლემათ სარკე აქვთ მიღებული, როგორც მზის ღმერთას მაჩვენებელი, მპყრობელობა მთის ბროლის სახითა აქვთ წარმოდგენილი. იმპერატორისავე უფლების ემბლემაა მახვილი და ოქროს დროშა. საიმპერატორო გერბს ფოლიოს ყვავილი (chrysanthème) შეადგენს, რომელიც ამასთან მზის ემბლემაცაა. ყვავილს 16 რგვალი ფოთოლი აქვს. საიმპერატორო საოჯახო ორდენი 3 ფოთლისაგან შესდგება.

1886 წ. გამოცხადებულ კონსტიტუციის ძალით იმპერატორი თვითმპყრობელობის ყველა უფლებებით შემოსილი სახელმწიფოს უმაღლესი მმართველია. მასვე ეკუთვნის სრული აღმსრულებითი უფლება საბჭოებისა და მინისტრთა კომიტეტისა, რომლის წევრებსაც თვითონა ჰნიშნავს. გარდა ამისა, მანვე უნდა მოისმინოს საიდუმლო საბჭოს აზრი, რომელსაც განსახილველად სახელმწიფოს უმაღლესი საქმეები გადაეცემა ხოლმე. მხოლოდ მასა აქვს უფლება ომის გამოცხადებისა და ზავის ჩამოგდებისა, აგრეთვე უცხო სახელმწიფოებთან ხელშეკრულობისა.

იმპერატორის მახლობელი თანამშრომლები მინისტრები არიან, რომლებიც პასუხს მის წინაშევე აგებენ. კაბინეთს შეადგენენ: თავმჯდომარე მინისტრ-პრეზიდენტი და ცხრა სხვა მინისტრი—სასჯულო საქმეთა, შინაგან საქმეთა, გზათა, მიწათ-მოქმედებისა და ვაჭრობისა, გარეშე საქმეთა, საერო განათლებისა, ფინანსთა, სამხედრო და საზღვაო.

პარლამენტი (ტენ-კოკუ-გი-კვაი) შესდგება პერთა პალატისა და დეპუტატთა პალატისაგან, რომლებიც ინგლისის ლორდთა პალატასა და დეპუტატთა (თემთა) პალა-

---

*) დ. სვრპსკი. „თანამედროვე იაპონია“.

ის მეუღლე ევროპიულად განათლებული ქალია და ბევრი ევროპიული ენა იცის.

საელჩოში მითხრეს, ტოკიოში წასვლას სულაც არ ვაპირობთ, ჯერ ისევ დიპლომატიური მოლაპარაკება სწარმოებსო“.

სწორედ მეორე დღეს იაპონიამ მოლაპარაკება შესწყვიტა რუსეთთან და სამხედრო მოქმედება დაიწყო.

ახალი ამბავი

◆ **იაპონიის წინაალმდეგ ომის გამოცხადების გამო**, გუშინ, 29 იანვარს, ალექსანდრე-ნეველის სამხედრო საკრებულო ტაძარში, საქართველოს ეგზარხოსმა ალექსიმ, ალავერდის ეპისკოპოსის ექვთიმესა და ქალაქის სამღვდელოების თანამსახურებით, გადაიხადა პარაკლისი, რომელსაც დაესწრნენ: სამხედრო და სამოქალაქო უწყებათა უფროსნი, ტფილისის გენერალიტეტი, წოდებათა და საზოგადო დაწესებულებათა წარმომადგენელნი და მრავალი მლოცველი.

◆ ტფილისის მესამე გიმნაზიაში გუშინ, 29 იანვარს, თავშეყრილ მოწაფეთა და მასწავლებელთა თანადასწრებით მართლ-მადიდებელმა მოძღვარმა ცალკე და სომეხ-გრიგორიანთა მოძღვარმა ცალკე გადაიხადეს პარაკლისი და წაიკითხეს **უმაღლესი მანიფესტი** რუსეთ-იაპონიის ომის დაწყებისა გამო.

◆ საყურადღებო ამბავს გადმოგვცემს გაზეთი „კაზბეკი“. როგორც ამ გაზეთს დანამდვილებით გაუგია, საბოლოოდ გადაწყვეტილა კავკასიონის ულელტეხილზე რკინის გზის გაყვანა. ახალი გზა დაიწყება პეტროვ-ბალაჯრის რკინის გზის სადგურ „კარბულახ“-იდან, გაივლის ტარის ხეობას და ტფილისს ჩავა. გზის გაყვანას კისრულობს კავკასიის რკინის გზის საზოგადოება, რომელსაც ხაზინიდან წელიწადში სუბსიდიად მიეცემა 8 მილიონი მანეთი.

◆ 21 იანვარს დუშეთში **მოხდა სამღვდელოების კრება.** კრებამ, სხვათა შორის, დაადგინა იშუამდგომლოს თავის მთავრობის წინაშე, რომ დრამის პური ფულად აქციონ ეხებმა და ხაზინაში შეიტანონ.

◆ როგორც პეტერბურგიდან გვატყობინებენ, ივანე ჯავახიშვილს ბერძენ-რომაელთა წყაროების მიხედვით შეუდგენია რუსულ ენაზე **საქართველოს გეოგრაფიული აღწერა.** ამ წიგნის ბეჭდვას უკვე შესდგომიან და ახლო მომავალში გამოვა კიდეც გასასყიდად.

◆ ცხენის რკინის გზის მეთვალყურე კომისიის თავჯდომარემ აცნობა ქალაქის გამგეობას, რომ ამ ჟამად **ავჭალის ცხენის რკინის გზა** უკიდურეს მდგომარეობაშია, ლიანდაგი დაღრღო-ჩოღროვებულია, ცხენები მეტად ჯაგლაგი და უვარგისია და სხვა. ქალაქის გამგეობამ დაადგინა, წინადადება მისცეს კონცესიონერებს, ერთის თვის განმავლობაში წესიერ მდგომარეობაში მოიყვანონ რკინის გზა.

◆ რკინის გზის კონცესსიონერს თავ. გ. დ. წერეთელს, როგორც „ნოვ. ობოზ.“ გადმოგვცემს, შუამდგომლობა აღუძრავს გზათა სამინისტროს წინაშე იმის შესახებ, რომ **ჭიათურის შტოზე** საჩხერიდან შორაპნამდე გადაზიდვის ტარიფი დაკლებულ იქნას შავი-ქვის გარდა ყველა სხვა საქონელზე. ეხლა ფუთ საქონლის გადაზიდვა ღირს 10 კაპ., შუამდგომლობა თხოულობს 2 კაპ. დაწესებას.

◆ ქართულ დრამატიულ საზოგადოების თაოსნობით, დღეს, 30 იანვარს, დილის 11 საათზე, მამა-დავითის ეკკლესიაში გადახდილ იქნება პანაშვიდი **ა. ს. გრიბოედოვის** სულის მოსახსენებლად.

◆ დღეს საღამოს ძმ. ნიკიტინების ცირკში წარმოდგენა იქნება გამართული ქალაქის სკოლებში **ღარიბ მოსწავლეთა დამხმარებელ საზოგადოების** თანხის გასაძლიერებლად. ვინ არ იცის, რამდენ ღარიბისა და ხელ-მოკლე მშობლების შვილები იზრდებიან ქალაქის სკოლებში, რომელთა რიცხვი დღეს 19-ია. ბევრი მოსწავლე თითქმის შიშველ-ტიტველი დადის სკოლაში, სადაც სწავლას მუქთად იღებს ქალაქისაგან. „დამხმარებელი საზოგადოება“ დიდს შეღავათს აძლევს ამისთანა მოსწავლეთ თუ ფულად დახმარებით, თუ ტანთ-ფეხ-საცმელით. შარშან ექვსას შაგირდზე მეტს აღმოუჩინა ამ „საზოგადოება“-მ დახმარება. საწევრო ფულის გარდა, ყველაზე უფრო შემოუდის ფული ამ „საზოგადოება“-ს წარმოდგენებიდან, რომელსაც ყოველ წელს ჰმართავს.

იმედია, დღევანდელს წარმოდგენასაც ბლომად დაესწრება საზოგადოება და ამ-ით დახმარებას აღმოუჩენს ამ ფრიად სიმპატიურ საგანს.

◆ როგორც „კავკ.“-ს ატყობინებენ, **დაინიშნენ:** ტფილისის სამოსამართლო პალატის წევრი ფერსმანი—პეტერბურგის სამოს. პალატის წევრად; სტავროპოლის ოლქის სასამართლოს წევრი კოროპი—ქუთ. ოლქის სასამართლოს თავმჯდომრის ამხანაგად, სურინის ნაცვლად, რომელიც ტფილისის სმოსამართლო პალატის წევრად დაინიშნას.

◆ ტფილისის ქალაქის საბჭოს მიერ არჩეული სარევიზიო კომისია 27 იანვრიდან შეუდგა ქალაქის დედათა **საპროფესიონალო სახელოსნოს** საქმეთა რევიზიას.

◆ ტფილისის **გუბერნატორმა წინადადება** მისცა ქალაქის გამგეობას, გადასდოს საჭირო თანხა არსენალის აღმართის მოსაკირწლავად. გამგეობამ დაადგინა, აცნობონ გუბერნატორს, რომ იმის წინადადების აღსრულება უკვე დაევალა ქუჩების მომკირწვლელ კომისიასო.

◆ 2 თებერვლისათვის ტფილისის მესამე საქალებო გიმნაზიაში დანიშნულია **წლიური აქტი.** აქტზე ჯილდოებსა და ქების ფურცლებს დაურიგებენ მოწაფეთ.

◆ ტფილისის ოლქის **სასამართლოს სესიის** სხდომები გორში მოხდება 16-დან 23 თებერვლამდე.

◆ ამას წინად ტფილისის ქალაქის გამგეობამ სთხოვა ამიერ-კავკასიის დედათა ინსტიტუტის საბჭოს, აცნობოს, რამდენად სასარგებლოა ქვა-ნახშირით სახლის გათბობა. გუშინ ინსტიტუტის საბჭომ შეატყობინა გამგეობას, რომ წელიწადში ინსტიტუტი ხმარობს 12-დან 15,000 ფუთამდე ქვა-ნახშირს და დარწმუნდა, რომ ქვა-ნახშირით სახლების გათბობა უფრო ხელსაყრელია, ვიდრე შეშით. აქამდე ტყიბულის ქვა-ნახშირის მწარმოებელი საზოგადოება ინსტიტუტს უთმობდა ფუთს $17^1/_2$ კაპეიკად, ეხლა კი ამ საზოგადოების გამგეობა დაჰპირდა საბჭოს, ფუთს 13,1 კაპეიკადაო.

◆ ტფილისის მაზრის უფროსის თანაშემწემ მ. გუგუშვილმა სთხოვა ქალაქის გამგეობას, ცხენის რკინის გზის რამდენიმე უფასო ბილეთი დაუთმოს იმ საპოლიციო დარაჯებს ქალაქში, რომელნიც განაპირა ადგილებში არიან. გამგეობამ უარი შეუთვალა.

◆ ამაღლების ქუჩის მცხოვრებლებმა სთხოვეს ქალაქის გამგეობას, ამ ქუჩაში წყლის სადენ არხის გასაკეთებლად საჭირო თანხის გადადების შესახებ. გამგეობამ არ შეიწყნარა თხოვნა.

◆ 28 იანვარს ტფილისის ქალაქის გამგეობამ დაადგინა ქალაქის დედათა საპროფესიონალო სახელოსნოს ყოფილ დირექტორ ქალს ქ-ნ ბუდრინას 14 წლისა და 8 თვის სამსახურისათვის მიეცეს 1000 მან., ხოლო ბუთუზოვის თხოვნა შემწეობის შესახებ გამგეობამ უყურადღებოდ დასტოვა. გამგეობა თავის დადგენილებას წარუდგენს ქალაქის საბჭოს.

ქუთაისის ქალაქის საბჭო

26 იანვარს ქალაქის საბჭოს განსახილველი ჰქონდა 20 საქმე, რომელთაგან მხოლოდ სამის განხილვა მოასწრო. ამათგან მეტად საყურადღებო იყო ხმოსნის ბ. პ. მოსეშვილის მოხსენება, რომ ხელ ახლად განხილულიყო საბჭოს დადგენილება უძრავ მამულების შემოსავლის კაპიტალიზაციის შესახებ, და ამ საგანს საბჭომ თითქმის მთელი საღამო მოანდომა. ერთს წარსულ სხდომაზე ქალაქის საბჭომ, წინააღმდეგ ქალაქის გამგეობისა, დაადგინა, რომ უძრავ მამულების ღირსებულების გამოსაანგარიშებლად გაემრავლებინათ მამულის წლიური შემოსავალი 10-ზე (წინად 15-ზე ამრავლებდნენ.) ამ გვარად, თუ წინად მამული, მაგალითად, 1500 მანეთად ფასობდა, ეხლა მხოლოდ 1000 მანეთად უნდა შეფასებულიყო; ამით-კი მცირდებოდა ქალაქის ამომრჩეველთა რიცხვი, და თუ ამდენ ხანს არჩევნებში მონაწილეობას იღებდა დაახლოვებით 800 კაცი, ეხლა მხოლოდ 500 კაცზე ცოტათი მეტს ექმნებოდა ხმის უფლება. ბ-ნი მოსეშვილი თხოულობდა' რომ მამულების შესაფასებლად ისევ 15 წლის კაპიტალიზაცია დარჩენილიყო. მრავალი მაგალითით დაამტკიცა, რომ მამულის წლიური შემოსავალი, არამც თუ 10-ზე, 15-ზე გამრავლებულიც ვერ აღნიშნავს მამულის ნამდვილ ღირებულებას. ჩვენ მუდამ უნდა ვცდილობდეთ, ამომრჩეველთა რიცხვის გამრავლებას, რომ მცხოვრებთა მეტმა ნაწილმა იყოლიოს საბჭოში თავისი წარმომადგენელიო. ბ-ნ მოსეშვილის წინადადებას წინააღუდგნენ მ. ე. დარახველიძე, კ. ბ. ლორთქიფანიძე, მ. ა. ქიქოძე და ვ. ი. ქილაძე, რომელნიც ამტკიცებდნენ, რაც მამული მეტად შეფასდება, მცხოვრებლებს იმდენად მეტი გარდასახადი დააწვება კისერზე საერობო და სახელმწიფო გარდასახადების ქალაქებზე გაწერის დროსაო; ღარიბი მცხოვრები კი იმას ამჯობინებს, რომ გარდასახადი ცოტათი შემცირდეს, ვიდრე ამომრჩევლის უფლება მიეცეს. ი. მ. ჩიქოვანმა განუმარტა საბჭოს' რომ მამულების მეტად შეფასებით ქალაქს გარდასახადი არ მოემატება არც საერობო და არც სახელმწიფო. ქალაქი შესაფასებელ გარდასახადის დროს ხელმძღვანელობს მამულის წლიურ შემოსავლის და არა მთელის ღირებულების მიხედვით; რაც შეეხება სახაზინო პალატას, ის სახელმწიფო და საერობო გარდასახადების გაწერის დროს ხელმძღვანელობს თავისი საკუთარის შეფასებით, რომელიც ქალაქის შეფასებაზე გაცილებით მეტია. სახაზინო პალატას კაპიტალიზაციის პროცენტად აღებული აქვს არა 10$^0/_0$; როგორც ქალაქის საბჭო აპირებს, არამედ 8$^0/_0$, როგორც ეს ბათომსა და ფოთშია; ასე რომ მამულის ღირებულების გამოსაანგარიშებლად $12^1/_2$ წლის კაპიტალიზაცია საჭირო, რომელიც უდრის ქალაქის 15 წლის კაპიტალიზაციასო. მამულის პატრონს მეტი ხარჯი მხოლოდ მაშინ მოუვა, თუ მამული გაჰყიდა, ან დააგირავაო. გამგეობის წევრმა გრ. ი. გველესიანმა ციფრებით დაამტკიცა, რამდენი ამომრჩეველი მოაკლდება ქალაქს 10 წლის კაპიტალიზაციის შემოღებით. მისის ანგარიშით, გაღმა მხარეს, ე. ი. რიონის მარჯვენა ნაპირს, სადაც ქალაქის უღარიბესი ნაწილია, მოაკლდება 162 ამომრჩეველი, მთელს ქალაქს კი—308. ჩვენ, როგორც ყველგან, იმას უნდა ვცდილობდეთ, რომ ქალაქის ყოველმა ნაწილმა იყოლიოს თავის ამომრჩევლები, რომ საბჭოს ხმოსნებს მარტო ცენტრიდან კი არა, ქალაქის განაპირა ადგილებიდანაც ირჩევდნენ. როგორც დამტკიცდა, 15 წლის კაპიტალიზაციის შემოღებით ქალაქს თითქმის არაფერი აკლდება, და თუ 10 წლის კაპიტალიზაცია შემოვიღეთ, მაშინ 308 ამომრჩეველს დაჰკარგავს, რაც მის კეთილდღეობაზე ცუდათ იმოქმედებსო. ამავე აზრს მიემხრენ გ. ლ. ქორქაშვილი და ნ. გ. ჭიჭინაძე. ხანგრძლივი კამათის შემდეგ, საბჭომ მოითხოვა ამ საკითხის კენჭის ყრით გადაწყვეტა. პირველად დაუდგეს ყუთი ბ-ნ მოსეშვილის წინადადებას, შემოღებულ იქმნეს თუ არა 15 წლის კაპიტალიზაცია. წინადადება 13 ხმის უმეტესობით 10 წინააღმდეგ უყურადღებოთ იქმნა დატოვებული. შემდეგ კენჭის ყრით უნდა გადაეწყვიტათ, დარჩეს თუ არა საბჭოს დადგენილება 10 წლის კაპიტალიზაციის შესახებ. 12 ხმის უმეტესობით 11-ის წინააღმდეგ ეს წინადადებაც უარჰყვეს. ბოლოს კენჭი უყარეს ი. მ. ჩიქოვანის წინადადებას $12^1/_2$ წლის კაპიტალიზაციის შემოღების შესახებ, რომელიც მიღებულ იქმნა 17 ხმის უმეტესობით 6-ის წინააღმდეგ. ამგვარად, ბ-ნ მოსეშვილის სიმპატიური წინადადება თუმცა მთლად არა, ნახევრად მაინც გავიდა, და ესეც კარგია.

დონ-ვალიანი

ტას უდრიან, იმ განსხვავებით მხოლოდ, რომ საკანონმდებლო კორპუსი აქ სულ 300 წევრისაგან შესდგება (ყველა წოდებათაგან).

პერთა პალატის წევრები (კიცოკუ-ინი) ხუთ წყებათ დაიყოფიან. პირველს ეკუთვნიან სამეფო სახლის ყველა წევრები, 20 წლისაზედ არა ნაკლებნი; მეორეში ირიცხებიან მაღალის წრის ოჯახის შვილები, რომლებსაც სამეფო გვარეულობასთან ნათესაობა არა აქვთ და აგრეთვე მარკიზები, 25 წლისაზე არა ნაკლებნი. მესამეს ეკუთვნიან 25 წლისაზე არა ნაკლებ ხნოვანობის მქონე გრაფები, ვიკონტები და ბარონები, მაგრამ არჩევნებით მათი რიცხვი 16 გრაფსა, 71 ვიკონტსა და 6 ბარონს არ უნდა აღემატებოდეს. მეოთხეს ეკუთვნიან სამეცნიერო შრომისა თუ სხვა რამ სახელმწიფო მოღვაწეობისათვის იმპერატორის მიერვე ამ წოდებაში აღყვანილნი, რომელთა წლოვანობაც 30-ზე ნაკლები არ უნდა იყოს. დღემდის იაპონიის პარლამენტი სრულიად ინგლისისასა ჰგავდა, იმ განსხვავებით მხოლოდ, რომ იაპონიის სამღვდელოებას პარლამენტში წარმომადგენელი არა ჰყავდა. ამათ გარდა, ჰყავთ კიდევ მეხუთე წყების წევრნი, რომლების მინაგვარიც ინგლისის ლორდთა პალატას არა ჰყავს.

იმპერიის თვითოეულს ოლქში ნება აქვს 15 კაცს, რომლებიც-კი სხვებზე მეტს სადგილ-მამულო და სამრეწველო გარდასახადს იხდიან და წლოვანობით 30-ზე მეტნი არიან, თავიანთ შორის პერთა პალატის წევრათ ერთი ვინმე ამოირჩიონ. ამ რიგად ქვეყნის სამრეწველო და სამიწათ-მოქმედო ინტერესების დასაცველად პერთა პალატას პლუტოკრატიის 50 წარმომადგენელი კიდევ სხვა ჰყავს. ამ უკანასკნელებსა და აგრეთვე მესამე წყების გრაფებს, ვიკონტებსა და ბარონებს 7 წლის ვადით ირჩევენ, პირველის ორის წყების წარმომადგენელთ კი სიკვდილამდე. საპარლამენტო დებულება იმ ანგარიშითაა შედგენილი, რომ მეოთხისა და მეხუთე წყების წევრთა რიცხვი 159 არ აღემატებოდეს, ე. ი. მთლად ყველა წევრთა ნახევარსა. 1)

დეპუტატთა პალატაც (შუგიინი) 300 წევრისაგან შესდგება, რომლებსაც კენჭის ყრით ირჩევენ ყველა ჯგუფებიდანა და იმპერიის ყველა ოლქებიდან. დანამდვილებითის გამოანგარიშებით თვითო დეპუტატი 137,000 მცხოვრების წარმომადგენელია. დეპუტატებს 4 წლით ირჩევენ. კანდიდატები 30 წლისაზე ნაკლებნი არ უნდა იყვნენ; ნივთიერი ცენზი კანდიდატებისა უნდა იძლეოდეს იმდენს, რომ ყოველ წლიურს სახელმწიფო პირდაპირ გარდასახადს 15 იენს 2) აუვიდეს; თუ რომ სახელმწიფო გარდასახადის ნაცვლად შემოსავალზე იქმნება გაწერილი გარდასახადი, მაშინ სამის წლისა ერთად უნდა წარადგინოს წინდაწინ.

დეპუტატები ვალდებულნი არ არიან უთუოდ თავისს წარმომადგენელს ოლქში სცხოვრებდნენ, მაგრამ, თუ ამოირჩევენ, დეპუტატობაზე უარის თქმა არ შეუძლიანთ. წელიწადში დეპუტატს 800 იენი ეძლევა ჯამაგირათ.

პერთა პალატის წევრთა ჯამაგირიც დეპუტატთა პალატის წევრთა ჯამაგირს არ აღემატება; ორივე პალატის პრეზიდენტებსა და ვიცე-პრეზიდენტებს-კი ოთხ-ოთხი ათასი და ორ-ორი ათასი იენი აქვთ წლიურად.

ასეთი ჯამაგირები უცხოელს, ეჭვი არ არის, მცირედად ეჩვენება, მაგრამ იაპონია იმდენად ნაყოფიერი ქვეყანაა, რომ მხოლოდ 100 იენითაც-კი სულ ადვილად შეიძლება ადამიანმა პატარა ოჯახი მთელს წელიწადს კმაყოფილადა და გაუჭირვებლივ აცხოვროს. ყოველს შემთხვევაში, პარლამენტის წევრთა ჯილდო ყველას აკმაყოფილებს, არავინ მისს სიმცირეს არ ემდურება.

თვითონ ამომრჩეველი წელიწადში 15 იენს პირდაპირ სახელმწიფო გარდასახადს უნდა იხდიდეს, 25 წლისაზე ნაკლები არ იყოს და 12 თვე მაინც ეცხოვროს იმ ოლქში, რომელშიაც ჰსურს არჩევნებში მონაწილეობა მიიღოს.

საპარლამენტო სესსია სამ-ოთხს თვეს გასტანს ხოლმე.

პარლამენტი განაგებს ფინანსებსა და სასჯულო საქმეებს. გადაწყვეტა ამა თუ იმ საგნისა საზოგადო კენჭის ყრით ჰხდება. თვითეული კანონ-პროექტი უთუოდ ორთავე პალატამ უნდა შეიწყნაროს და ვიდრე დაკანონდებოდეს, იმპერატორმა დაამტკიცოს. ორთავე პალატას აქვს უფლება ახალი კანონები წარმოიდგინონ და მათ შესახება თუ სხვა საგნებისა გამო მინისტრთა კაბინეტთან იქონიონ პირდაპირი დამოკიდებულება, ზოგიერთს შემთხვევაში-კი პირდაპირ იმპერატორსაც მიჰმართონ ხოლმე. იმპერატორი მოიწვევს პარლამენტს, ესწრება მისს პირველს კრებას, ჰხურავს და ითხოვს დეპუტატთა პალატას თავისის სურვილისამებრ.

1898 წ. წარმომადგენლობით გამგეობის საქმეში დიდი ნაბიჯი წასდგა წინ იაპონიამ და დააწესა ეგრედ წოდებული საყოველთაო საერობო კრებები, რომლებსაც ყოველ წლივ იწვევენ ერთის თვით მარტში. გარდა თავისს პირდაპირ დანიშნულებისა, კრებები უწევენ კანტროლს, რომ პროვინციებში გადასახადი სწორედ ჰხდებოდეს ხალხსა, რომლის შეკრებაც გუბერნატორებსა აქვთ დავალებული. საერობო კრების წევრთაც ისევე ირჩევენ, როგორც პარლამენტის წევრთ, ამორჩეულს სამი წელიწადი მაინც უნდა ეცხოვროს იმ ოლქში, რომელიც ირჩევს, ჰქონდეს ქონებრივი ცენზი, რომელსაც სადგილ-მამულო გადასახადათ ყოველ წლიურად 20 იენზე ნაკლები არ უნდა ჰქონდეს შეწერილი და წლოვანობითაც 25-ზე ნაკლები არ უნდა იყოს. არჩევანი კენჭის ყრით ჰხდება; ამომრჩეველი 10 იენზე ნაკლებს სადგილ-მამულო გადასახადს არ უნდა იხდიდეს და 20 წლისაზე ნაკლები არ უნდა იყოს. კეთილი დანიშნულება ასეთის დაწესებულებისა ის არის, რომ მცხოვრებთ საშუალება ეძლევათ თავისი უკმაყოფილება გუბერნატორის მოქმედების წინააღმდეგ კრებას განუცხადონ. სარგებლობა ამ დაწესებულებამ დიდი მოუტანა ხალხსა და მრავალი ახალი კანონიც შემოაღებინა, რომ პროვინციების მართვა-გამგეობის ნაკლი შეევსოთ.

ინ-ანი

---

1) უკანასკნელის ცნობებით იაპონიაში სულ 776 პერია. პერობის დასაწყისი 1886 წლიდან იწყება. მთლად ითვლებოდა მაშინ 533 გვარეულობა, რომლებიც შესდგებოდა 3,430 ოჯახისაგან. 1898 წ. ტიტულიანი გვარი სულ 716 იყო, 4,523 ოჯახობით, რომლებიც ღირსებით ასე დაიყოფიან: 11 პრინცი, 33 მარკიზი, 89 გრაფი, 363 ვიკონტი და 280 ბარონი.

2) იენი—97 კაპიკს უდრის.

რუსეთის ქრონიკა

◆ კიევის პოლიცმეისტერმა ქალაქის ყველა ბოქაულებს და პოლიციის საიდუმლო აგენტებს უბრძანა, 28 იანვრამდე წარმოადგინეთ ქალაქში მცხოვრებ იმ ებრაელთა სია, რომელთაც კიევში ცხოვრების უფლება არა აქვთ. ამ ებრაელებს ქალაქიდან დაითხოვენ. („პეტერ. ვედ.“)

◆ ნახიჩევანის (როსტოვთან) ქალაქის თავმა ბალაბანოვმა ვაჭრებს ძმ. პარამონოვებს ქალაქის მიწა მიჰყიდა და ფული მიითვისა. პარამონოვებმა ეს ამბავი ქალაქის საბჭოს შეატყობინეს.

◆ ხმა დადის, ვითომ უმაღლესს მთავრობას გადაწყვეტილი ჰქონდეს ვაჭართა წოდების გაუქმება. ვაჭართა საზოგადოების საქმეები გადაეცემა საბირჟო კომიტეტებს. ფინანსთა სამინისტრო თანაუგრძნობს თურმე ამ პროექტს.

ალექსანდრე სერგეის ძე გრიბოედოვი*)

(1795—1829)

დღეს, 30 იანვარს, სრულდება სამოცდახუთმეტი წლისთავი მას შემდეგ, რაც გარდაიცვალა უკვდავის კომედიის „ვაი ჭკუისაგან“-ის ავტორი ალექსანდრე სერგეის ძე გრიბოედოვი. გრიბოედოვის წინაპარნი პოლონეთის აზნაურები იყვნენ, რომელნიც რუსეთში გადმოსახლებულიყვნენ. გრიბოედოვის მშობლები ეკუთვნოდნენ მოსკოვის საზოგადოების იმ წრეს, რომლის განსაკუთრებითი თვისებები ასე ხელოვნურად აქვს აწერილი რუსის დრამატურგს თავის კომედიაში. დედა გრიბოედოვისა ატრიალებდა მთელის ოჯახის საქმეს, უფლის უწინარეს გარეგან მედიდურებას იცავდა და სცდილობდა თავისიანების ბედნიერება დაემყარებინა ნაცნობებისა და ნათესავების წყალობაზე. 1795 წელს დაბადებულის ალექსანდრეს აღზრდის საქმესაც, რა თქმა უნდა, ისეთივე მიმართულება ჰქონდა პირველ ხანებში, როგორიც საერთოდ გრიბოედოვის ოჯახს ახასიათებდა. დედა შვილს სამსახურის კარიერისთვის ამზადებდა. პირველად გრიბოედოვს თავისუფალი აზრები და დამოუკიდებლობის სურვილი დაებადა უნივერსიტეტში, სადაც იმას შედამთან დასდევდა გუვერნიორი, რომელსაც დავალებული ჰქონდა, თვალყური ეჭირა ალექსანდრეზე და ნება არ მიეცა თავის სურვილზე მეგობრების ამორჩევისა. უნივერსიტეტში განსაკუთრებითი მნიშვნელობა გრიბოედოვის აღზრდაზე იქონია პროფესორმა ბულემ, რომელმაც ახალგაზრდა ალექსანდრეს მალე შეამცნია ნიჭიერება და გააცნო ლიტერატურის ისტორიას საერთოდ და განსაკუთრებით დრამისას. 1812 წელს დასტოვა გრიბოედოვმა უნივერსიტეტი და განიზრახა სალტიკოვის რაზმში ჩარიცხვა ვოლონტიორად. ეს რაზმი სდგებოდა საფრანგეთთან ომის გამო, მაგრამ ომი ისე დასრულდა, რომ გრიბოედოვი ვერ ეღირსა ამ რაზმის შედგენას. ამის შემდეგ გრიბოედოვი რამდენიმე წელიწადი მსახურებდა ჯარში და სცხოვრობდა ბელორუსიაში და შემდეგ პეტერბურგში. აქ გრიბოედოვი დაუახლოვდა სალიტერატურო წრეებს და თანაც დაიწყო მონაწილეობა მწერლობაში. ამ დროს რუსეთში იბრძოდნენ პსევდოკლასსიკები და რომანტიკოსები. გრიბოედოვის იმ დროინდელ ნაწერებიდან სჩანს, რომ ის ამ ორის სკოლის მიმართულებას თავისებურად ურევდა ერთმანეთში. პეტერბურგშივე დაუკავშირდა გრიბოედოვი იმ პირთ, რომელთაც ისტორია დეკაბრისტების სახელით იცნობს. ერთის დუელის შემდეგ, რომელიც გრიბოედოვის სეკუნდანტობით მოხდა და რომელმაც დიდად აღელვა სატახტო ქალაქის წრეები, გრიბოედოვი სამსახურში შევიდა დედის თხოვნით და გამწესდა სპარსეთის საელჩოს მდივნად. 1819 წელს გაემგზავრა გრიბოედოვი თავრიზს და, დიდის ხნის მოგზაურობის შემდეგ, რომელსაც ის განგებ აგრძელებდა, მივიდა სპარსეთის ქალაქს. აქ გრიბოედოვს არ გააჩნდა მეგობრები და არც თავის შესაფერი წრე, მოწყენილად იყო და განმარტოებულმა მუდროებაში მიჰყო ხელი თავის კომედიის წერას. ეს კომედია უკვე რამდენჯერმე ჰქონდა დაწყებული და აქ სპარსეთში დაამზადა კომედიის პირველი ორი მოქმედება. ამ ხანებში კავკასიის მთავარმართებელმა ერმოლოვმა გრიბოედოვი თავისთან გადმოიყვანა, ტფილისში. აქ გრიბოედოვმა იგრძნო, რომ კომედიის დასამთავრებლად იმისთვის საჭირო იყო ხელახლა დაეხედნა მოსკოვის ცხოვრებისთვის და ამიტომ რამდენიმე თვით სამსახურიდან დაეთხოვა, თუმცა მთელი ორი წელიწადი მოსკოვსა და მოსკოვის მიდამოებში დაჰყო. 1824 წელს დაასრულა გრიბოედოვმა თავის კომედია, რომელმაც საერთო ყურადღება მიიქცია. მოსკოვის საზოგადოება დიდად აღშფოთებული იყო, რადგანაც კომედიაში ნათლად ჰხედავდა თავის თავს. გაჩნდნენ მტრები, რომელთაც თავის წადილს მიაღწიეს. „ვაი ჭკუისაგან“ არა თუ სცენაზე სათამაშოდ, დასაბეჭდადაც კი აკრძალულ იქმნა. 1825 წელს ძლივს ძლივობით მოახერხა გრიბოედოვმა ერთ-ერთს ალმანახში თავის ნაწარმოების რამდენისამე ადგილის დაბეჭდვა. დადგა დრო, როდესაც გრიბოედოვი სამსახურში უნდა დაბრუნებულიყო. მოვიდა გრიბოედოვი ტფილისს; მაგრამ რამდენისამე ხნის შემდეგ ერმოლოვმა მიიღო რუსეთიდან განკარგულება, გრიბოედოვი დაეპატიმრებინა და რასაც კი ქაღალდებს უპოვნიდა, პეტერბურგში გაეგზავნა. ეს განკარგულება შედეგი იყო იმ მეგობრობისა, რომელიც პეტერბურგში ყოფნის დროს გაიჩინა გრიბოედოვმა დეკაბრისტებთან. ერმოლოვმა წინადვე აუწყა გრიბოედოვს მიღებულის განკარგულების შინაარსი და ერთი საათი ვადა მისცა, რომ ჩუმად დაეწვა თუ კი რამ სახიფათო ქაღალდი მოეპოვებოდა სახლში; შემდეგ დაპატიმრებული გრიბოედოვი ჩრდილოეთისკენ გაისტუმრეს. 1826 წლის ივნისში გრიბოედოვი გაანთავისუფლეს, რადგანაც არაფერი იმის გამამტყუნებელი საბუთი არა ჰქონდა მთავრობას ხელში. გრიბოედოვს ამ ჟამად სრულიად აღარ უნდოდა საქართველოში დაბრუნება და „ბარბაროსულ განათლებაში“ მონაწილეობის მიღება, როგორც ის უძახდა რუსეთის მოქმედებას კავკასიის მკვიდრთა შორის; მაგრამ იმისმა დედამ აქაც თავისი გაიტანა. ერთხელ ეკკლესიაში წაიყვანა თავისი შვილი და იქ მუხლ-მოდრეკილი სთხოვდა, პირობა მომეცი, რომ აასრულებ, რასაც გთხოვო; გრიბოედოვმა მისცა პირობა და დედამ განუცხადა, ჩემი სურვილი ის არის, რომ ისევ სამსახურში წახვიდე კავკასიაშიო. 1826 წელს ხელახლა დაბრუნდა გრიბოედოვი ტფილისს და 1827—28 წლის ომის შემდეგ მხურვალე და თვალსაჩინო მონაწილეობას იღებდა სპარსეთთან დიპლომატიურს მოლაპარაკებაში. თურქმანჩაის ხელშეკრულება სპარსეთთან თითქმის მთლად გრიბოედოვის დიპლომატიურ მოღვაწეობას შედეგია. 1828 წელს, გრიბოედოვი მთავარმართებლის პასკევიჩის სურვილის თანახმად გაემგზავრა პეტერბურგს და თან წაიღო ტრაქტატის ტექსტი. იმპერატორის სურვილით გრიბოედოვი ამის შემდეგ დაინიშნა რუსეთის ელჩად სპარსეთში და უკანვე გაემგზავრა. ტფილისში შეჰხვდა ქართველის პოეტის ალექსანდრე ჭავჭავაძის ქალს ნინოს, რომელსაც წინადაც იცნობდა, და იმაზე დაიწერა ჯვარი. ამ დროს გრიბოედოვი 33 წლისა იყო და იმისი ცოლი კი სულ 16-ისა. ტფილისიდან გრიბოედოვი გაემგზავრა სპარსეთში, ელჩის თანამდებობის ასასრულებლად, მაგრამ სპარსელები დიდად აღშფოთებულები იყვნენ გრიბოედოვის წინააღმდეგ თურქმანჩაის ზავის გამო და 30 იანვარს უეცრივ დაესხნენ თავს რუსეთის საელჩოს და მთელი დიპლომატიური კორპუსი ამოსწყვიტეს. გრიბოედოვის გვამი ძლივს იცნეს გადაცვალებულთა შორის, ისე იყო დასახიჩრებული. გრიბოედოვი დაასაფლავეს ტფილისში, მამა-დავითის მთაზე, რომელიც იმას ძალიან უყვარდა სიცოცხლეში. ამბობენ, გრიბოედოვი წინადვე ჰგრძნობდა თავის ბედს და ცოლს ანდერძად დაუტოვა, მამა-დავითის მთაზე დამასაფლავეო.

გრიბოედოვის სამწერლო მნიშვნელობა მთლად იმის კომედიაშია. მართალია, ცოტა რამ სხვა ნაწერებიც აქვს იმას, მაგრამ ზოგი სრულიად მივიწყებულია როგორც უვარგისი და ზოგმა კი სულ არ მოაღწია ჩვენამდე. სიცოცხლის უკანასკნელ წლებში გრიბოედოვმა განიზრახა ტრაგედიის დაწერა საქართველოს ცხოვრებიდან; ამ ტრაგედიის სახელია „ქართული ღამე“, მაგრამ ჩვენამდე მხოლოდ ორმა სცენამ მოაღწია.

„ვაი ჭკუისაგან“ შესანიშნავია ენით, ლექსით, მოსკოვის ზნე-ჩვეულებათა აღწერით და ახალისა და ძველის თაობათა წარმომადგენლების ბრძოლით. ამ კომედიის გავლენა დღესაც ატყვია რუსეთის კომედიას. გრიბოედოვის ლექსი თითქმის კანონად გადაიქცა შთამომავლობისათვის. ქართულად „ვაი ჭკუისაგან“ რამდენისამე პირსა აქვს ნათარგმნი. საუკეთესო თარგმანი ეკუთვნის ქ. განდეგილს.

ზ.

თეატრი

ქუთაისი. 25 იანვარს ქართულ დრამატიული საზოგადოების დასმა ხელმეორედ წარმოადგინა თავ. სუმბათაშვილის „ღალატი“. წარმოდგენამ კარგად ჩაიარა, ასე რომ თითქმის დაგვავიწყა წინანდელი ცუდი შთაბეჭდილება. ამ დღეს მსახიობთ შემოეკრიბათ ძალ-ღონე, რომ გამოესყიდათ თვისი პირველი დანაშაული: როლებიც თითქმის ყველამ კარგად იცოდა და იცოდა მარტო დიაკვნურად კი არა, არამედ შეგნებით; თამაშობდნენ გრძნობიერად, სცენაზე თავისუფლად ეჭირათ თავი და სხ.; ერთის სიტყვით ამ დღეს მსახიობებმა დაგვიმტკიცეს, რომ, თუ მოინდომებენ, კარგად შეუძლიათ თამაში. ბ-ნი მესხიშვილი ჩინებული სულეიმან-ხანი იყო: გულ-ქვა, გაუმაძღარი; თითქმის ხმასაც კი მოუმატა. ბ-ნი ყიფიანი წინადაც კარგი იყო, მაგრამ ეხლა ხომ შეუდარებლად ითამაშა ანანია გლახას როლი: ყოველი იმისი სიტყვა ნესტარი იყო, რომელიც ჩხვლეტდა ოთარ-ბეგის გულს და უღვიძებდა სვინიდისს. ქ-ნ ეფ. მესხის ასულმა (ზეინაბი) მთლად დაგვავიწყა 23 იანვრის უგულო და უგრძნობელი თამაში; კილო თუმცა ეხლაც ჩვეულებრივი ჰქონდა, მაგრამ იმის მოხდენილ თამაშთან ეს ნაკლულევანება თითქმის შეუმჩნევლად რჩებოდა. ბ-ნ გუნიას ცოტათი მიხვრა-მოხვრა აკლდა, ხანდახან ლაპარაკის დროსაც ბორძიკობდა, თორემ კარგი ოთარ-ბეგი იქმნებოდა. ბ-ნ კ. მესხს რაღაც მიზეზის გამო ხმა ჩახლეჩოდა და ხელს უშლიდა; მასთან წინანდელი ნაკლულევანებაც საკმაოდ ემჩნეოდა. ქ-ნნი ივანიძე (ისახარ), მდივანი (რუქაია), დავითაშვილი (გაიანე) და გამყრელიძე (მაიკო)—ყველანი დაკვირვებით თამაშობდნენ და პიესის უმთავრეს გმირებს ხელს კარგად უწყობდნენ. ლაზათიანი დათო იყო ბ-ნი სვიმონიძე, ირაკლის როლს ასრულებდა ბ-ნ შათირიშვილის მაგივრად ბ-ნი დ. ჩარკვიანი და უფრო მოხდენილადაც თამაშობდა, თუმცა ამ დღეს პირველად გამოვიდა ირაკლის როლში და როლი ხეირიანად არ იცოდა. ჰქა-ქუხილი, მეტეხის ციხის აფეთქება, უკანასკნელი სცენა, როდესაც გამარჯვებული ქართველები შემოცვივიან სცენაზე, დათოსი და სულეიმან-ხანის შეტაკება,—ყველაფერი ეს კარგად იყო შესრულებული, რაც კი შეიძლებოდა ქუთაისის თეატრის პატარა სცენაზე. საზოგადოების აღტაცებულ ტაშის კვრასა და „ვაშა“-ს ძახილს საზღვარი არა ჰქონდა.

დონ-ვალიანი

წერილი ქუთაისიდან

(წიგნთ-საცავის შესახებ)

როდესაც კერძო წიგნთ-საცავ-სამკითხველოების შემოსავალი არამც თუ ხარჯს ჰფარავს, წმინდა მოგებასაც აძლევს პატრონს, ქუთაისის წიგნთ-საცავ-სამკითხველოში ამის წინააღმდეგს ვხედავთ: აქ წლიური შემოსავალი რომ 600 მანეთია, გასავალი 2000 მანეთს უდრის. ამ გარემოებას ჩაუფიქრებია ქალაქის გამგეობა და სცდილობს გამონახოს რამე საშუალება ამ არა სასურველ მოვლენის გასასწორებლად. ჩემის ფიქრით, ამ მოვლენის უპირველესი მიზეზი უნდა იყოს ის გარემოება, რომ წიგნთ-საცავი ვერ აკმაყოფილებს მკითხველთა მოთხოვნილებას; არაა შიგ ისეთი წიგნები, რომელთაც ხშირად თხოულობს საზოგადოება. მართალია, ქალაქის გამგეობა, ჟურნალ-გაზეთებს გარდა, ყოველ წელს იწერს 200—300 მანეთის წიგნებს, მაგრამ ამით წიგნთ-საცავს წინმსვლელობა თითქმის სრულიად არ ეტყობა. ეს რომ არ იქმნეს, საჭიროა ქალაქის გამგეობამ შეჰკრიბოს ცნობები, რა წიგნების გამოწერას უფრო თხოულობს საზოგადოება. ქალაქის გამგეობამ წინად სცადა ასეთი ცნობების შეკრება და ამისათვის შემოიღო სამკითხველოში რვეული, სადაც მკითხველთ უნდა აღენიშნათ, რა წიგნების გამოწერა სურდათ; მაგრამ ამ ცდამ სასურველი შედეგი ვერ მოიტანა. ჩვენმა კიდევ შეუგნებელმა საზოგადოებამ სამასხაროდ აიგდო რვეული და ისეთ რამეს სწერდა შიგ, რომ წაკითხვა-კი შეგრცხვებოდათ. ცნობების შეკრება, ჩემის ფიქრით, მხოლოდ ამგვარად შეიძლება: უნდა დაევალოს სამკითხველოს გამგეს იქონიოს ერთი რვეული და აღნიშნოს შიგ ისეთი წიგნები, რომელთაც ხშირად თხოულობენ და წიგნთ-საცავში კი არ მოიპოვება. სამკითხველოში უნდა რამდენსამე ადგილას გაიკრას განცხადება, რომლითაც ეცნობება საზოგადოებას, რომ მიმართოს წიგნთ-საცავის გამგეს და ჩააწერინოს რვეულში, რა წიგნის გამოწერაც სურთ. როდესაც ამგვარი ცნობები შეიკრიბება, ქალაქის გამგეობამ უნდა ამოარჩიოს აქედან ისეთი წიგნები, რომელთ გამოწერასაც უმეტესობა თხოულობს და შემდეგ შეძლების დაგვარად გამოიწეროს. გარდა ამისა, საჭიროა წიგნთ-საცავის გამგემ ხელმძღვანელობა გაუწიოს ბავშებს, რომელთაც არ იციან, რა წიგნი წაიღონ საკითხავად. ხშირად მინახავს, რომ ბავში აიღებს ხელში კატალოგს და რა წიგნიც პირველად მოხვდება თვალში—თუ, რასაკვირველია, მისი სათაური მოეწონა—იმას დაადებს ხელს. ამგვარის არჩევით ხანდახან ბავშვს ისეთი წიგნები ხვდება, რომ სრულიად ვერაფერს იგებს შიგ და კითხვის სურვილი ეკარგება. საჭიროა აგრეთვე კატალოგების შესწორება. წიგნთ-საცავს უნდა ჰქონდეს ორგვარი კატალოგი: ერთში უნდა აღნიშნულ იქმნეს წიგნები სხვა-და-სხვა დარგის მიხედვით, მეორეში კი მკითხველთა წლოვანების მიხედვით. წიგნები ორსავე კატალოგში ანბანურის წესით უნდა იქმნეს დალაგებული. ჩემის ფიქრით, ეს საშუალება გაამრავლებს მკითხველთა რიცხვს და წიგნთ-საცავის შემოსავალსაც გაადიდებს.

დონ-ვალიანი

დეპეშა

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან)

28 იანვარი

სტამბოლი ჟანდარმერიის გადასაკეთებლად დღეს მომხდარი სხდომა სრულის შეთანხმებით გათავდა. მოლაპარაკების შედეგი ჯერ-ჯერობით საიდუმლოდ იქნება დაცული. პორტამ რუსეთისა და ავსტრიის ელჩებს შეატყობინა, აჯანყებულებმა ფილიპოპოლში დემონსტრაცია მოახდინეს და მაჰმადიანებზე ძალა იხმარესო.

სოფია („კორეს. ბიურ.“). სტოიანოვის თავდამსხმელთა მოთავე დააპატიმრეს. დაეძებენ თვით ბოროტ-მოქმედს.

ბრიუსელი. 28 იანვარს რკინის გზის მატარებელს, რომელიც გუშინ სადამოს პარიზში წავიდა, ექვსი ბოროტ-განმზრახველი თავს დაეცნენ, შევიდნენ იმ განყოფილებაში, სადაც ფულიან წერილები ეწყო, მსახურები შეჰკრეს, მიმავა მატარებლიდან გადახტნენ და ფული თან წაიღე

29 იანვარი

პეტერბურგი. შინაგან საქმეთა მინისტრ „პეტერბურგსკაია გაზეთა“-ს ცალკე ნომრები გაყიდვა აღკრძალა.

იუსტიციის მინისტრი ჰაავში დანიშნულ საერთაშორისო სამედიატორო სასამართლოს სხდომებზე თავმჯდომარეობის გასაწევად წავიდა და სამინისტროს გამგებლობა თავის ამხანაგს სენატორ მანუხინს ჩააბარა.

რედაქტორ-გამომცემელი ალ. ჯაბადარი.

განცხადებანი

აფხანაურის სანერგე
ამერიკულ ვაზისა

მიხრან ალ. ანანოვისა. იყიდება ერთის წლის ფესვიანი ვაზები, ამერიკულ ვაზებზე დამყნილი როგორც ადგილობრივ, ისე ფრანგულ ჯიშისა, იყიდება აგრეთვე ამერიკულ ვაზის რქა და გიბრიდები.

აქვე შეიძლება მსურველმა შეუკვეთოს სხვა-და-სხვა ჯიშის ვაზის დამყნობა მომავალ 190$^4/_5$ წლის სეზონისათვის.

ადრესი: სად. რიონი, ამიერ-კავ. რკ. გზისა. მიხრან ალ. ანანოვი (10—6—7)

LA SURPRISE
(საჩუქარი)
რეინის ოქრო
№ 4711
ახლანდელი მოდის
დუხები
შეუდარებელის, მშვენიერის
და მაგარის სუნნელებისა
ფერდ. მიულგენსისა
კელნი რეინზე
იყიდება ყველა კარგ მაღაზიაში.
(ნ. 9—6)

Дозв. ценз. Тифлисъ 29 января 1904 г. ელექტრონის სტამბა, ქართ. ამხ—ის წიგნების გამომ. (Электропеч. Груз. Издат. Т—ва

---

*) სურათი იხ. „ცნ. ფ.“-ის გუშინდელ დამატებაში.